# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის შესახებ

4 აპრილს, საღამოს სხდომაზე, კამათში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ნ. ნ. როდიონოვმა — სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა.

შემდეგ დარბაზში საბრძოლო დროშებით შემოვიდა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დელეგაცია. დელეგატები და სტუმრები ფეხზე ადგნენ და მქუხარე ტაშით შეხვდნენ სამშობლოს სახელოვან დამცველებს.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის ჯარისკაცებისა და მატროსების, სერჟანტებისა და ოფიცრების, გენერლებისა და ადმირალების, ყველა მეომრის სახელით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობას მიესალმა ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის მოტომსროლელთა გვარდიული დივიზიის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი ი. ი. ტენიშჩევი. საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომართა სახელით ამხ. ტენიშჩევმა აღუთქვა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს, რომ საბჭოთა შეიარაღებული ძალები კვლავაც ერთგულად ემსახურებიან კომუნიზმის დიად საქმეს, მზად არიან ყოველ წუთს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ ყველა აგრესორს.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების გამო.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელსაც მხურვალედ შეხვდნენ დელეგატები და სტუმრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელმაც მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა. ყრილობამ მოიწონა წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

ყრილობამ აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო სკკპ XXIII ყრილობის რეზოლუციის მოსამზადებელი კომისია.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

* * *

დიდი დაინტერესებით, საქმიანად განიხილეს სკკპ XXIII ყრილობის დელეგატებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება. მათ ცხადყვეს ერთობა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზის გარშემო, ბოლშევიკური ინტერნაციონალური სოლიდარობა, დიდი მომთხოვნელობა ყველასადმი, ვინც კომუნისტის საპატიო წოდებას ატარებს.

5 აპრილის დილის სხდომაზე, რომელსაც ლ. ი. ბრეჟნევი თავმჯდომარეობდა, დელეგატებმა მოისმინეს მოხსენება — სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც მთელი დარბაზი მხურვალედ შეხვდა.

მოხსენება მოისმინეს დიდი ყურადღებით. დარბაზში ხშირად ისმოდა ტაში. (საქინფორმი).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 67 (3044)

1966 წ. 6 აპრილი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


# დადგენილება

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობისა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა ადგენს:

მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა;

მოწონებულ იქნას წინადადებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.

## სკკპ XXIII ყრილობის დადგენილება სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში დამტკიცდეს.

## ფარდის დახურვის წინ

ბაქო, 5 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). დამთავრდა „ა" კლასის II ჯგუფის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. დღეს გაიმართა ბოლო სამი შეხვედრა, რომლებიც ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მინსკი)—„ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 89:59, აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) — „სპარტაკი" (როსტოვი) 68:66, „პლასტიკასი" (ვილნიუსი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 71:58.

### კალათბურთი

გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ნავთ. და ქიმ. ინსტ. (ბაქო) | 8 | 7 | 1 | 7 |
| სპი (თბილისი) | 8 | 6 | 2 | 6 |
| „სპარტაკი" (მინსკი) | 8 | 5 | 3 | 5 |
| „ლოკომოტ". (ალმა-ათა) | 8 | 5 | 3 | 5 |
| „კანალსტროი" (დონეცკი) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „ბურევესტ." (მოსკოვი) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „პლასტიკასი" (ვილნიუსი) | 8 | 3 | 5 | 3 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 8 | 2 | 6 | 2 |
| „სპარტაკი" (როსტოვი) | 8 | 2 | 6 | 2 |

* * *

ამრიგად, ბაქოელი და თბილისელი კალათბურთელები უმაღლეს ლიგაში გადავიდნენ.

## ლიდერებმა გაიხარეს

საქართველოს ვაჟთა XXVII საჭადრაკო ჩემპიონატის XV ტურში ყველა ლიდერმა წარმატებით ითამაშა.

ჯინჯიხაშვილმა (შავებით) ბოკუჩავასთან თუმცა სიცილიური დაცვის მძიმე ვარიანტი აირჩია, მაგრამ თამაშის გამარტივება და უკეთესი ენდშპილის მიღება შეძლო. შემდგომში მან ოსტატურად გამოიყენა 2 კუს უპირატესობა და 39-ე სვლაზე გაიმარჯვა.

თოხაძესთან პარტიაში გურგენიძემ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და უკვე 28-ე სვლაზე მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინა.

მხოლოდ 25 სვლა გაკეთდა გვენცაძე — გიორგაძის შეხვედრაში. თეთრებმა დებიუტში პაიკი დაკარგეს და თანდათან უიმედო პოზიციაში აღმოჩნდნენ.

თითქმის მთელი საღამო გაგრძელდა მუკნიაშვილი — ბუსლაევისა და უბილავა — რაზოვსკის შეხვედრები. ბუსლაევმა უკეთეს მდგომარეობა-

## გუშინ...

-ში ვერ მიაგნო მოგებისკენ მიმავალ გზას და მეტოქეს თამაშის გართულების შანსები მისცა. თუმცა პარტია საბოლოოდ მაინც ბუსლაევის გამარჯვებით დაგვირგვინდა. ხარისხის მოგების შემდეგ უბილავამ თავისი მატერიალური უპირატესობის განაღდებას მიჰყო ხელი და როცა რაზოვსკის მეფე გარდუვალი შამათის ქსელში გაება, ქუთაისელმა მოჭადრაკემ წინააღმდეგობა შეწყვიტა.

ლომაიამ მოუგო ჩხაიძეს, ჩეჩელიანმა — ალექსანდრიას, ხოლო დავითაშვილი — კერნოჟიცკისა და ჩაგუნავა — ჩიქოვანის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

15 ტურის შემდეგ რ. ჯინჯიხაშვილსა და ა. ბუსლაევს 13-13 ქულა აქვთ, ბ. გურგენიძეს — 11, თ. გიორგაძესა და ე. უბილავას — 10,5-10,5, თ. ლომაიას — 9,5, ს. ჩეჩელიანს — 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

თ. გიორგაძე.

● 11 აპრილს, 16 საათსა და 30 წუთზე... ● ვ. რასტვოროვა 11 ადგილზეა ● წაგება პოლონეთში

◆ მოსკოვი, 5 აპრილი. დღეს აქ გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე პეტროსიან — სპასკის მატჩისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია. სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. აბრამოვმა განაცხადა, რომ მატჩისთვის ყველაფერი მზადაა. ამ საინტერესო შეჯიბრების I ტური ესტრადის თეატრში დაიწყება 11 აპრილს, 16 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით.

◆ ტურინი, 5 აპრილი. აქ დამთავრდა მოფარიკავე ქალთა საერთაშორისო ტურნირი მარტინის თასზე. ეს საპატიო ნადავლი მოიპოვა უნგრელმა სპორტსმენმა მაშოტამ. 11 ადგილზეა საბჭოთა მოფარიკავე რასტვოროვა.

◆ ვარშავა, 5 აპრილი. პოლონეთში ამხანაგური თამაშების ჩასატარებლად მყოფი სსრ კავშირის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრები დღეს შეხვდა მასპინძლების ჭაბუკთა გუნდს. მატჩი მოიგეს პოლონელებმა — 82:76.

## 3 ტურილა დარჩა...

სარაევო, 4 აპრილი. აქ მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე 3 ტურილა დარჩა. ლიდერთა ჯგუფში ახლა ასეთი მდგომარეობაა: ჩირიჩი (იუგოსლავია) — 9 ქულა, პიტჩი (გდრ) და ტალი (სსრ კავშირი) — 8,5-8,5, ივკოვი (იუგოსლავია) და პახმანი (ჩეხოსლოვაკია) — 8-8.



ალმართ-ალმართ...

ფოტო თბილისის მე-10 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ა. გურამიშვილისა.

## გაშვებულია თავდებში

ლონდონი, 5 აპრილი. ადგილობრივი ნავსადგურის მუშა, 47 წლის ედვარდ ბლეტჩლი გუშინ სასამართლოს წინაშე წარსდგა. როგორც ცნობილია, მას ბრალი ედება ვესტმინსტერის ცენტრალურ ჰოლში შეპარვა და იქიდან „ოქროს ქალღმერთის" — მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მთავარი პრიზის მოპარვა.

მაგრამ არც გუშინდელი სხდომა იყო ხანგრძლივი. იმის გამო, რომ ბრალდებამ ვერ შეძლო ყველა მოწმის გამოძახება, მოისმინეს მხოლოდ წინასწარი ჩვენებები. სასამართლომ გადაწყვიტა 5000 გირვანქა სტერლინგის თავდებში გაათავისუფლოს ბლეტჩლი პატიმრობიდან 12 აპრილამდე, ე. ი. იმ დღემდე, ვიდრე პროცესი გაგრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს პროფსაბჭოში

# სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის შესახვედრად

ამას წინათ გაიმართა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადებისა და მასში მონაწილეობის საკითხი.

გუნდების დროული და კარგი მომზადების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 31 იანვრის დადგენილების — „საქართველოს სსრ 1967 წლის სპარტაკიადის გამართვისა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ" — ცხოვრებაში გატარების მიზნით პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო, რაიონულ და საფაბრიკო-საქარხნო პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა საბჭოებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, სამმართველოებსა და ტრესტებთან ერთად 1966-67 წლებში ჩაატარონ დარგობრივი სპარტაკიადები ისე, რომ მათში მონაწილეობა მიიღებინონ ფიზკულტურის ყველა კოლექტივს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მასობრიობასა და სპარტაკიადების მონაწილეთა ხარისხობრივ სამზადისს.

„განთიადის", „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" ცენტრალურ და რესპუბლიკურ საბჭოებს პრეზიდიუმმა ამოცანად დაუსახა სპორტკავშირებთან ერთად და მათი დახმარებით ორგანიზებულად გამართონ დარგობრივ სპარტაკიადებში გამარჯვებულთა ფინალური შეჯიბრებანი; საქართველოს ნაკრების წევრებს შეუქმნან ყველა პირობა ოსტატობის დონის ამაღლებისთვის, რისთვისაც ხშირად გამართონ რესპუბლიკური შეჯიბრებები და ამხანაგური შეხვედრები. სპარტაკიადისთვის მზადება ამავე დროს უნდა ემსახურებოდეს ფიზკულტურული კოლექტივების შემდგომ განმტკიცებას, საზოგადოებრივ საწყისებზე სპორტული მოედნებისა და მარტივი ტიპის სხვა ნაგებობათა მშენებლობას.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საწარმო-დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დაავალა პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დახმარება აღმოუჩინონ სპორტულ ორგანიზაციებს, რათა ნაკრები გუნდების წევრებს ჰქონდეთ სრულწლიური ვარჯიშის საშუალება, მზადების პერიოდში სამუშაოდან და სასწავლებლიდან გაათავისუფლონ ისინი ხელფასის საშუალო გამომუშავების ან სტიპენდიის შენახვით.



სპორტულ სიარულში ბოლო წლებში მეტად ჩამოვრჩით. კარგა ხნის მანძილზე ამ სახეობაში თითო-ოროლა სპორტსმენი თუ მეცადინეობდა და, ცხადია, შეჯიბრებებიც მასობრიობით ვერ დაიქადნიდა. რესპუბლიკურ პირველობებში გამარჯვებისთვის მხოლოდ ა. შჩერბინა და ი. დელა-როსა იბრძოდნენ. წლეულს კი მდგომარეობა შეიცვალა. თბილისის 128-ე საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა, სპორტის ოსტატმა ნ. კალანდაძემ ამ სახეობას აზიარა თავისი რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. განსაკუთრებით კარგი მონაცემები აქვთ მეთერთმეტეკლასელ ჟ. მგელაძეს, მერვეკლასელებს ა. მეფარიძეს, ო. გულიევს, მეცხრეკლასელ გ. მაკიევსა და სხვ. თბილისში, საქართველოს მოსწავლეთა ტურნირში, სწორედ მგელაძემ და მაკიევმა ისახელეს თავი. მგელაძე ჩემპიონი გახდა 5 კმ-ზე სპორტულ სიარულში, მაკიევმა კი III ადგილი დაიკავა.

* * *

სურათზე: ჭაბუკი მოსიარულეები შეჯიბრებისას.

ფოტო მ. ვაშაყმაძისა.

## ქუთაისელი — ერევნის ჩემპიონი

ქუთაისის ჭაბუკ მოკრივეთა ერთმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო ერევნელ თანატოლთა ღია ჩემპიონატში. წარმატებას მიაღწია ჰ. მამისეიშვილმა, რომელმაც მოიპოვა ჩემპიონის წოდება და დაიმსახურა სპეციალური პრიზი ლამაზი და ტექნიკური ბრძოლისთვის. საპრიზო ადგილები დაიკავეს დანარჩენმა ქუთაისელმა მოკრივეებმაც: ვ. სკრიპნიჩენკომ, რ. ბასილაძემ, გ. ცხადაიამ და ვ. კაპუსტინმა.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

## ავაღორძინოთ კარგი ტრადიცია!

ზესტაფონში ყოველ შაბათ-კვირას ფალავანთა შერკინების კარგი ტრადიცია არსებობდა. ხერხისა და ღონის გამოცდის მსურველთა რიცხვს ერთი შეჯიბრება რომ ვერ გამოლევდა, სანახაობა მეორე შაბათ-კვირისთვის გადაჰქონდათ ხოლმე. სწორედ ამ პერიოდში იყო განთქმული ზესტაფონი თავისი მოჭიდავეებით.

კარგი ტრადიცია ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა. დღეს იშვიათად თუ ნახავთ ქართული ჭიდაობის მოქმედ სარბიელს. ეროვნული სპორტის ეს ლამაზი და მიმზიდველი სახეობა ზესტაფონში მთლად ჩაკვდა.

ჩვენ, ქართული ჭიდაობის ვეტერანები, ვთხოვთ ქალაქის სპორტის მესვეურთ დაგვეხმარონ ოდესღაც არსებული შესანიშნავი ტრადიციის აღდგენაში. ზესტაფონში კვლავაც უნდა ისმოდეს ზურნისა და დოლის ხმა!

ძველი თაობის მოჭიდავეთა სახელით:
ვ. შეყრილაძე, ზ. ბურჯანაძე, ნ. დეკანოსიძე.

ზესტაფონი.

## რაიონები გვწერენ

### ✦ ცხაკაია

დამთავრდა რაიონის საშუალო სკოლების კალათბურთელ გოგონათა ზამთრის პირველობა. I ადგილი დაისაკუთრა ქალაქის მე-4 საშუალო სკოლის გუნდმა. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ცხაკაიის მე-3 და მე-2 სკოლების წარმომადგენლებს.

ე. გუგუნავა.

### ✦ ახმეტა

სამ დღეს გრძელდებოდა რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მამულაშვილი, წითელაური (ორივენი — ხოდაშენი), სარქისაშვილი (ახმეტა), ახალაური (მატანი), თედეევი (არგოხი), პატარაშვილი (ახმეტა), ხინჩაგაშვილი (არგოხი), ხუგაევი (ჯოყოლო). გუნდური პირველობა მოიპოვეს მატანელმა მოჭიდავეებმა.

ვ. კაბისოვი.

### ✦ ჭიათურა

ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური შეჯიბრება კალათბურთში ჭიათურის მარგანტრესტისა და ხაშურის ნაკრებ გუნდებს შორის. როგორც ქალებში, ისე ვაჟებში, გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მ. ლაბაძე.

# მშრომელთა ჯანმრთელობა — ფინა პლანზე!

საწარმოო ტანვარჯიშის შემოღების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილებას, აჭარაში ერთი პირველთაგანი ბათუმის გემსაშენი ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივი გამოეხმაურა. მართალია, ერთხანს აქ გაუჭირდათ ამ კარგი წამოწყების მასობრივად დანერგვა, მაგრამ როცა პირველმა ნაბიჯებმა კარგი ნაყოფი გამოიღო, როცა თვალნათლივ დაინახეს, რა მხნედ გრძნობდნენ თავს საწარმოო ტანვარჯიშის პიონერები და როგორ ამაღლდა მათი შრომისნაყოფიერება, მსურველთა რიცხვმა იმატა. ახლა ქარხანაში თანამშრომელთა 90 პროცენტზე მეტი მეცადინეობს.

ამას ხელი შეუწყო ადმინისტრაციის ინიციატივით საამქროთა შორის გამართულმა შეჯიბრებებმაც. მერე შეიქმნა თევზჭერის, ჯანმრთელობის, მასობრივი ტურიზმის ჯგუფები, გაიმართა ტურნირები. შარშან ტურისტულმა სექციამ 19 ღონისძიება ჩაატარა. მარტო ტურისტულ მრავალჭიდში 280 კაცი მონაწილეობდა, თევზჭერაში — 94, საზაფხულო და საშემოდგომო მძლეოსნური კროსების სტარტებზე 800 ფიზკულტურელი გამოვიდა.

ნავებით სეირნობა სპორტულ შეჯიბრებებზე ნაკლებად როდი აკაჟებს ჯანმრთელობას, გემშენებლებს კი ნავები, რა თქმა უნდა, არ აკლიათ და კარგად იყენებენ კიდეც.

მასობრივ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლაში ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს დიდ დახმარებას უწევს საზოგადოებრივი აქტივი, ამიტომ მის აღზრდას სათანადო ყურადღება ექცევა. შარშან სემინარებზე 19-ის ნაცვლად 58 ფიზორგი, საბჭოს თავმჯდომარე და მსაჯი მოამზადეს. ამჟამად მათგან ყველა პრაქტიკულ საქმიანობაშია ჩაბმული. მაგალითად, 60 წლის მუშა ფ. ლეპტენკო ქარხნის სამმართველოში ხელმძღვანელობს საწარმოო ტანვარჯიშს, კომუნისტური შრომის ბრიგადის დამკვრელი, 55 წლის ვ. კოლესნიკოვი კი — მე-3 საამქროში. კომუნისტური შრომის ბრიგადის დამკვრელი ვ ჩერჩიკი ტურიზმის საზოგადოებრივი ინსტრუქტორია. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე შრომის მოწინავენი ა. ტარიელაშვილი, ვ. პირაშკოვი, ვ. ვალჩუკი და სხვ.

აქტივის თაოსნობითა და მონაწილეობით ხშირად ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები და სპარტაკიადები. შარშან 14 ასპარეზობა გაიმართა. მათგან ყველაზე სახალისო საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელთა ჯანმრთელობის სპარტაკიადა იყო. ბევრმა მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა საქარხნო სპარტაკიადაში, რომელიც 11 სახეობაში ჩატარდა. გაიმართა სამატჩო შეხვედრები სხვა ქარხნების ფიზკულტურულ კოლექტივებთან და სხვ. სტარტებზე სულ 2000-მდე ფიზკულტურელი გამოვიდა. თვითეული მათგანი საშუალოდ სამ-ოთხ ტურნირში მონაწილეობდა.

გემსაშენი ქარხნის ფიზკულტურელები ბათუმისა და აჭარის ყველა ასპარეზობის უცვლელი მონაწილენიც არიან. მათ გაიმარჯვეს „განთიადის" აჭარის ჯანმრთელობისა და პროფკავშირთა IV სპარტაკიადებში, ჰყავთ აჭარის 27 ჩემპიონი, 49 II და 88 III პრიზიორი.

ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო (თავმჯდომარე ვ. გუთნიკი) მიღწეულით არ კმაყოფილდება, ამიტომ იგი გამუდმებით ადევნებს თვალყურს საამქროთა ფიზკულტურული საბჭოების მუშაობას. ხშირად გააქვს ეს საკითხი საქარხნო საბჭოს სხდომებზე, — საქმეარს აქებენ, ჩამორჩენილებს დახმარებას არ აკლებენ და საერთო ძალით საქმეს კარგად უძღვებიან. შარშან აქ სამჯერ მოეწყო სპორტული საღამო, ოთხჯერ ჩატარდა ლექცია-მოხსენება სპორტულ თემებზე. სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი.

ყოველივე ამის გამო გემშენებლებმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შარშანდელი გეგმა. ზეგეგმით მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 1 ოსტატობის კანდიდატი, 15 პირველთანრიგოსანი და 69 სხვა თანრიგების სპორტსმენი.

საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქარხნის დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, — ისინი მუდამ მხარში უდგანან ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს.

ახლა გემშენებლები ენერგიულად ემზადებიან მომავალი დიდი შეჯიბრებებისთვის.

ტ. კიკნაველიძე,
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.

## ანგარიშგება-არჩევნები

# სათანადო შევსება ნაკრებს!

ჩატარდა რუსთავის სპორტკავშირის IV საქალაქო კონფერენცია. ქალაქის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების მუშაობაზე ილაპარაკა სპორტკავშირის თავმჯდომარემ ო. ჯებაშვილმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციების ნაყოფიერი საქმიანობის შედეგად ამჟამად ქალაქის 47 ფიზკულტურულ კოლექტივში 19.720 კაცია გაერთიანებული (მთელი მოსახლეობის 23,2 პროცენტი). საანგარიშო პერიოდში აქ გეგმით 2 სპორტის ოსტატი უნდა მომზადებულიყო, მაგრამ მარტო შარშან რუსთავის ფიზკულტურელთა ოჯახს 7 სპორტის ოსტატი და 5 ოსტატობის კანდიდატი შეემატა. 46-ის ნაცვლად 209-მ I, ხოლო 4.150-ის მაგიერ 7.545-მა სპორტსმენმა სხვა თანრიგების ნორმატივები ჩააბარა. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე, მშთ ნიშნოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების გეგმა. განსაკუთრებით კარგად იმუშავეს „განთიადის", „დინამოსა" და „შრომითი რეზერვების" საბჭოებმა, რასაც ვერ ვიტყვით განათლების განყოფილებისა და „სპარტაკის" კოლექტივებზე.

რუსთავში სპორტის 30-მდე სახეობაა დანერგილი. ნაყოფიერი მუშაობით გამოირჩევიან აკრობატები, მოჭიდავეები, ნიჩბოსნები, მძლეოსნები. განსაკუთრებით კარგად არის დაყენებული კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობის საქმე. ამ სახეობათა სექციებს უნარიანად უძღვებიან გ. აბუაშვილი, დ. ჩაჩანიძე, პ. ჯიოშვილი და კ. სპანდერაშვილი. მაგრამ, — თქვა მომხსენებელმა, — ქართულ ჭიდაობასა და სამბოში ჩამოვრჩებით. სუსტი გუნდები გვყავს ფრენბურთსა და კალათბურთში. ბოლო დროს ძალოსნებმაც დათმეს პოზიციები. მაღალი მაჩვენებლებით ვერ დაიკვეხნიან საწყლოსნო სახეობათა წარმომადგენლები. რა თქმა უნდა, დიდად გვიშლის ხელს ის გარემოება, რომ ზამთრის აუზი არა გვაქვს. შეიმჩნევა სპორტსმენთა მხრივ დისციპლინის დარღვევის შემთხვევებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით ნიჩბოსნებს უნდა ვუსაყვედუროთ.

რუსთაველი მოსწავლე-სპორტსმენები ადრე მუდამ წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ ტურნირებში, შარშან კი II ჯგუფში ერთი საფეხურით უკან გადაინაცვლეს.

მომხსენებელმა ილაპარაკა სპორტული ბაზების მშენებლობაზე. აღნიშნა, რომ „მეტალურგის" სტადიონის დასავლეთის ტრიბუნების ქვეშ მოეწყო მოჭიდავეთა და ძალოსანთა დარბაზები და ოთახები. შარშან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ჩატარდა სპორტბაზების მშენებლობის ერთთვიური, რის შედეგადაც ბევრგან მარტივი ტიპის მოედნები, ხოლო ხალხთა მეგობრობის პროსპექტზე № 2 სახლში სპორტდარბაზებიც კი მოეწყო.

ამჯერად რუსთაველი სპორტსმენების უპირველესი მიზანია კარგად გამოვიდნენ საქართველოს IV სპარტაკიადაში და სათანადო შევსება მისცენ რესპუბლიკის ნაკრებს, რომელიც სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში მიიღებს მონაწილეობას.

კამათში გამოვიდნენ კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. ჟამიერაშვილი, მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ს. კრასიკოვი, განათლების განყოფილების გამგე ს. როსნაძე, მშენებელთა ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი ნ. ნადიროვი, მძლეოსანი ქ. კახიშვილი, აზოტოვანი სასუქების ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი შ. ფეიქრიშვილი, სინთეზური ბოჭკოს ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. შონია. საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო და მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ნ. სომხიშვილი და სხვ.

კონფერენციამ მიიღო ღონისძიება. გადაწყდა, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად რუსთავში მომზადდეს 15 სპორტის ოსტატი, 200 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების 5.000 სპორტსმენი, ფიზკულტურელთა რაოდენობა 25.000-მდე გაიზარდოს.

კონფერენციაზე აირჩიეს სპორტკავშირის საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა, საქართველოს სპორტკავშირის III კონფერენციის დელეგატები.

სპორტკავშირის რუსთავის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ო. ჯებაშვილია არჩეული.

რ. გაბრიჩიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

I ზონა

● „დინამო" (სოხუმი) — „მესხეთი" (ახალციხე) 0:1. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი)— „ირისტონი" (ცხინვალი) 3:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

● „განთიადი" (ბორჯომი) — „ისანი" (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. ხაჩიძე (გორი).

ბორჯომელთა განუწყვეტელი იერიშები დამთავრდა 23-ე წუთზე გატანილი გოლით. შესვენების შემდეგ თბილისელები ბევრს ეცადნენ საპასუხო ბურთის გატანას, მაგრამ „განთიადმა" შეძლო მეტად საჭირო მოგების შენარჩუნება.

● „მექალალდე" (ზუგდიდი) — „ქართლი" (გორი) 1:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მას შემდეგ, რაც მასპინძელთა შეტევებს მატჩის დასაწყისში შედეგი არ მოჰყვა, თამაში გათანაბრდა. ანგარიში მასპინძლებმა შესვენების შემდეგ გახსნეს, რასაც სულ მალე მოჰყვა პენალტი მათს კარში და გორელებმა იგი ზუსტად გამოიყენეს.

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 2:0. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

ჭიათურელი თავდამსხმელები იერიშს თავიდანვე აწარმოებდნენ მინდვრის მთელ სიგანეზე და პირველ ტაიმში „ფეიქრის" კარი ორჯერ იქნა აღებული. შესვენების შემდეგ სტუმრები სავრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ ცვლილების შეტანა ანგარიშში ვერ მოახერხეს.

II ზონა

● „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (ქუთაისი) 3:0. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

დინამოელთა კართან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი და ა. კვირკველიამ და თევზაძემ 2 გოლი გაიტანეს. შემდგომში ლანჩხუთელები კვლავ თვალსაჩინო უპირატესობით თამაშობდნენ. სტუმრები უმეტესად დაცვაზე ზრუნავდნენ. ამავე დროს ისინი ხშირად აყოვნებდნენ გადაცემებს და კარგავდნენ ბურთს. „გურიამ" მატჩის ბოლომდე კიდევ გაიტანა გოლი და „მშრალი" ანგარიშით გაიმარჯვა.

● „მერცხალი" (მახარაძე) — „ნარინჯი" (ბათუმი) 1:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ნაწვიმარ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა. მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა ნინუას მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა. ეს მახარაძელთა მესამე გამარჯვებაა ზედიზედ.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 1:0. მსაჯი ვ. ჩიბურდანიძე (ბათუმი).

მიმდინარეობდა მატჩის 89-ე წუთი, ანგარიში კი არ იყო გახსნილი. ამ ბოლო წუთზე სამტრედიელმა მცველმა გეგეშიძემ შეძლო გადამწყვეტი ბურთის გატანა.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 1:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ორივე გუნდის მოთამაშეთა თამაშში შეიმჩნეოდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზები (ეს განსაკუთრებით ეხება კარში დარტყმას). ანგარიში გახსნეს სტუმრებმა. ეს გოლი „ბახმარომ" თამაშის ბოლო წუთებზე გაქვითა.

## I ჯგუფი გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 4 აპრილისთვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 3 | 3 | 0 | 0 | 6—0 | 6 |
| „განთიადი" ბორჯომი | 3 | 2 | 1 | 0 | 3—1 | 5 |
| „მაღაროელი" ჭიათურა | 3 | 1 | 2 | 0 | 3—1 | 4 |
| „ფეიქარი" წულუკიძე | 3 | 1 | 1 | 1 | 5—3 | 3 |
| „მესხეთი" ახალციხე | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „ირისტონი" ცხინვალი | 3 | 1 | 1 | 0 | 2—4 | 3 |
| „მექალალდე" ზუგდიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 1—5 | 2 |
| „სინათლე" თბილისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „დინამო" სოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 1—2 | 1 |
| „ისანი" თბილისი | 3 | 0 | 1 | 2 | 0—2 | 1 |
| „ქართლი" გორი | 3 | 0 | 1 | 2 | 1—4 | 1 |
| „დინამო" I თბილისი | — | — | — | — | — | — |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მერცხალი" მახარაძე | 3 | 3 | 0 | 0 | 9—3 | 6 |
| „კოლხეთი" ცხაკაია | 3 | 2 | 1 | 0 | 7—4 | 5 |
| „შუქურა" ქობულეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 2—1 | 5 |
| ასკ თბილისი | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3 |
| „გურია" ლანჩხუთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4—2 | 3 |
| „მეშახტე" ტყვარჩელი | 3 | 0 | 3 | 0 | 2—2 | 3 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 3 | 1 | 1 | 1 | 2—5 | 3 |
| „კოლმეურნე" წალენჯიხა | 2 | 1 | 0 | 1 | 4—4 | 2 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 3 | 0 | 2 | 1 | 4—6 | 2 |
| „დინამო" ქუთაისი | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| „ნარინჯი" ბათუმი | 3 | 0 | 1 | 2 | 3—6 | 1 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 3 | 0 | 0 | 3 | 4—7 | 0 |

## მაგიდის ჩოგბურთი

# ს. სარხოიანის უძლეველი ჩოგანი

ლენინგრადი, 5 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ გაიმართა საერთაშორისო შეხვედრები მაგიდის ჩოგბურთში სსრ კავშირისა და იაპონიის სპორტსმენთა შორის. ყველა შეხვედრა იაპონელთა გამარჯვებით დამთავრდა: ქალები — იაპონია — სსრ კავშირი (I) 5:0, იაპონია — სსრ კავშირი (II) 5:1 (საბჭოთა გუნდს ეს ერთადერთი ქულა მოუტანა ს. გრინბერგმა); ვაჟები — იაპონია — სსრ კავშირი (I) 5:4, იაპონია — სსრ კავშირი (II) 5:3.

თბილისელი ს. სარხოიანი II ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა. მან სამივე შეხვედრა „მშრალი" ანგარიშით (2:0) მოიგო: იაპონიის ჩემპიონ ხასეგავასთან, მსოფლიოს მეოთხე ჩოგბურთელ ტაკახასისთან და იაპონიის სტუდენტთა ასპარეზობაში გამარჯვებულ კიტამურასთან. აღსანიშნავია ისიც, რომ სარხოიანმა სსრ კავშირის I გუნდთან შეხვედრისას დაამარცხა ს. გომოზკოვი.

ა. გელერი,
სპორტის ოსტატი.

◎

# პირველობის 6 პრეტენდენტი

ბათუმში დიდი ინტერესი გამოიწვია აჭარის წლევანდელმა პირველობამ მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონების გუნდები, აგრეთვე ბათუმის კოლექტივი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობეს ბათუმელმა ჩოგბურთელებმა. II ადგილზე გავიდნენ ქობულეთის, ხოლო III — ქედის რაიონის სპორტსმენები.

პირად შეჯიბრებებში 16-16 ქალვაჟი მონაწილეობდა. ქალებში უძლიერესის წოდება მოიპოვა საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ს. პარფინიდიძ. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ლ. ავდალიანს და გ. პევზნერს.

დაძაბულად წარიმართა ვაჟთა ასპარეზობა. გ. წილოსანმა, ფ. ბალუჩიმ, ო. კაპლანიანმა, ვ. ოვაკიმიანმა, ნ. კოლიკმა და ვ. ბელიკოვმა შეჯიბრება ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს. გამარჯვებულის გამოსავლენად მათ შორის დაინიშნა დამატებითი ტურნირი. აქ ყველას აჯობა ვ. ბელიკოვმა. II ადგილზეა გ. წილოსანი, III — ნ. კოლიკი.

ი. ბერძენიშვილი.

ბათუმი.

## „ა" კლასი

### კალენდარი

II ჯგუფი. I ქვეჯგუფი

### თბილისის „ლოკომოტივისა" და ბათუმის „დინამოსთვის"

I წრე

აპრილი

12. „ლოკომოტივი" — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი), „დინამო" — „სპარტაკი" (გომელი).

16. „ლოკომოტივი" — „როსტსელმაში" (როსტოვი), „დინამო" — „რუბინი" (ყაზანი).

22. „ლოკომოტივი" — „დინამო" (ტალინი), „დინამო" — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო).

27. „ლოკომოტივი" — „დაუგავა" (რიგა).

მაისი

2. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „დინამო", „სპარტაკი" (გომელი) — „ლოკომოტივი".

8. „დაუგავა" (რიგა) — „დინამო", „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „ლოკომოტივი".

13. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ლოკომოტივი", „ბალტიკა" (კალინინგრადი) — „დინამო".

18. „დინამო" (კიროვაბადი) — „ლოკომოტივი", „დინამო" (ტალინი) — „დინამო" (ბათუმი).

23. „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (სტავროპოლი).

29. „ლოკომოტივი" — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო).

30. „ყუბანი" (კრასნოდარი) — „დინამო".

ივნისი

4. „ლოკომოტივი" — „შირაკი" (ლენინაკანი), „დინამო" — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი).

10. „ლოკომოტივი" — „თერგი" (გროზნო), „დინამო" — „შირაკი" (ლენინაკანი).

15. „დინამო" — „სპარტაკი" (ნალჩიკი), „ყუბანი" (კრასნოდარი)— „ლოკომოტივი".

23. „თერგი" (გროზნო) — „დინამო", „ლოკომოტივი" — „დინამო" (სტავროპოლი).

28. „ლოკომოტივი" — „სპარტაკი" (ნალჩიკი), „დინამო" (კიროვაბადი) — „დინამო" (ბათუმი).

ივლისი

3. „დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (თბილისი).

8. „როსტსელმაში" (როსტოვი)— „დინამო", „რუბინი" (ყაზანი) — „ლოკომოტივი".

## ფეხბურთი 1966

II წრე

ივლისი

15. „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი", „სპარტაკი" (გომელი) — „დინამო".

24. „როსტსელმაში" (როსტოვი) — „ლოკომოტივი", „რუბინი" (ყაზანი) — „დინამო".

29. „დინამო" (ტალინი) —„ლოკომოტივი", „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „დინამო"

აგვისტო

8. „დაუგავა" (რიგა) — „ლოკომოტივი".

11. „დინამო" — „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „ლოკომოტივი" — „სპარტაკი" (გომელი).

16. „დინამო" — „დაუგავა" (რიგა), „ლოკომოტივი" — „ბალტიკა" (კალინინგრადი).

22. „ლოკომოტივი" — „ჟალგირისი" (ვილნიუსი), „დინამო" — „ბალტიკა" (კალინინგრადი).

31. „ლოკომოტივი" — „დინამო" (კიროვაბადი), „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (ტალინი).

სექტემბერი

7. „დინამო" (სტავროპოლი) — „დინამო" (ბათუმი).

12. „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) —„ლოკომოტივი", „დინამო" — „ყუბანი" (კრასნოდარი).

18. „შირაკი" (ლენინაკანი) — „ლოკომოტივი", „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „დინამო".

24. „თერგი" (გროზნო) — „ლოკომოტივი". „შირაკი" (ლენინაკანი) — „დინამო".

30. „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „დინამო", „ლოკომოტივი — „ყუბანი" (კრასნოდარი).

ოქტომბერი

6. „დინამო" — „თერგი" (გროზნო), „დინამო" (სტავროპოლი) — „ლოკომოტივი".

11. „დინამო" (ბათუმი) —„დინამო" (კიროვაბადი), „სპარტაკი" (ნალჩიკი) — „ლოკომოტივი.

16. „ლოკომოტივი" (თბილისი)— „დინამო" (ბათუმი).

21. „დინამო" — „როსტსელმაში" (როსტოვი). „ლოკომოტივი" — „რუბინი" (ყაზანი).



დიმიტრი გორდელაძე 5 წლისა იყო, მხატვართა ყურადღება რომ მიიპყრო. 1957 წელს ჟურნალ „ცისკრის" მე-2 ნომერში დიმიტრის სამი ნამუშევარი დაიბეჭდა. წერილის ავტორი ქებით მოიხსენიებდა ნორჩ მხატვარს და კარგ მერმისს უწინასწარმეტყველებდა.

გადიოდა წლები. დიმიტრი სხვებთან ერთად სიყვარულით აფორმებდა სკოლის კედლის გაზეთებს, შინ კი უფრო „დიდ ტილოებს" ახმარდა მთელ თავისუფალ დროს.

1963 წელს ბერლინში მსოფლიოს ბავშვთა ნამუშევრების კონკურსზე გაგზავნა რამდენიმე სურათი და როცა ჟიურიმ შედეგები შეაჯამა, დიმიტრის 3 ნახატისთვის („ახალი ამბები", „შესანიშნავი შეიდეული" და „რეგბი თბილისში") II ადგილი მიაკუთვნეს. თბილისელმა რეგბისტებმა კი მას რეგბის ბურთი აჩუქეს.

ამბობენ, კვიცი გვარზე ხტისო. დიმიტრიც მამის კვალზე წავიდა (მამამისი — გიორგი გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მთავარი მხატვრული რედაქტორია)

ახლა დიმიტრი თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელია, ისევ გატაცებით ხატავს და ხშირად სპორტულ თემაზეც.

სურათზე: დ. გორდელაძის ნახატი „კუთხურს აწვდის ი. დათუნაშვილი".

ეროვნული ბიბლიოთეკა











თბილისის სპორტის სასახლეს დიდი ხნის ისტორია არა აქვს, მაგრამ იგი უკვე ბევრი „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლის მოწმეა. აქაურ სარბიელზე გამოსულან ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის საუკეთესო კალათბურთელები, ფრენბურთელები, ტანმოვარჯიშეები, ხელბურთელები, მოჭიდავეები... მათი წარმტაცი შეჯიბრებები მუდამ აურაცხელ მაყურებელს იზიდავს.

და მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამდენი მაყურებელი, რაც გუშინ და გუშინწინ მოთავსდა სპორტის ამ შესანიშნავი ტაძრის გუმბათქვეშ, სასახლეს კარგა ხანია არ ახსოვს. თანაც ეს არ იყო თბილისელთათვის ესოდენ მიმზიდველი, ასე ვთქვათ, წმინდა შეჯიბრება. ეს მხოლოდ-დამხოლოდ საჩვენებელი გამოსვლა გახლდათ...

მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ თბილისში საჩვენებელი გამოსვლები ჰქონდათ ციგურებით ფიგურულ სრიალში საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მსოფლიოში. აქ იყვნენ პლანეტის ჩემპიონები პ. ფლემინგი (აშშ) და ე. დანცერი (ავსტრია), ინგლისელები დ. ტაულერი და ბ. ფორდი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატთა პრიზიორები გ. ზაიფერტი (გდრ), ჰ. ვისკონტი (აშშ), ჩეხოსლოვაკიელები ო. ნეპელა, ი. ბაბიცკა და ი. გოლანი, შესანიშნავი ფიგურისტები — ჩეხოსლოვაკიელი ჰ. მაშკოვა, უნგრელი ჟ. ალმაში, გფრ-ის წარმომადგენლები ს. პფერსდორფი და გ. მატცდორფი, უნივერსიადის წლევანდელი ჩემპიონები ტ. ტარასოვა, გ. პროსკურინი (სსრ კავშირი) და სხვ.

მათი უბადლო ოსტატობა ჩვენ ადრეც ბევრჯერ გვიხილავს — ტელევიზიამ აგერ უკვე რამდენიმე წელია დაგვამეგობრა სპორტის ამ უაღრესად წარმტაცი სახეობის წარმომადგენლებთან. თბილისელებმა მშვენივრად იციან სპორტის ყადრი და მათაც შეიყვარეს ფიგურული ციგურაობა. აი, სწორედ ამიტომ მოვიდა აუარებელი ხალხი სპორტის სასახლეში. მრავალრიცხოვან მაყურებელს მოლოდინი გაუმართლდა: იგი შესანიშნავი სანახაობის მოწმე გახდა.

ამ ფოტოსურათებზე სწორედ ამ სანახაობის ფრაგმენტებია აღბეჭდილი... მარცხნივ ქვევით — სპორტულ ცეკვებში მსოფლიო ჩემპიონები დიანა ტაულერი და ბერნარდ ფორდი; ზევით — მსოფლიო ჩემპიონი პეგი ფლემინგი; შუაში — ჰანა მაშკოვა; მარჯვნივ ზევით — სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი ფიგურისტი ელენე შჩეგლოვა... სტუმართა ოსტატობას აღტაცებით უკრავს ტაშს ქართველი ფიგურისტი თ. ჯიქია (მარჯვნივ, ქვევით).

ფოტო ა. საყვისა.

## ახალი ამბები

- ვ. პონედელნიკის 2 გოლი
- წარმატება ბოლო შეჯიბრებაში
- ძველი რეკორდი მოხსნილია!
- ვ. ჩასლავსკა და მ. ცერარი — პირველნი
- ბირთვი — 19,92 მეტრზე!
- 79 მარათონელი

● **ნოვი სადი**, 4 აპრილი. იუგოსლავიაში თავისი ტურნეს მორიგი მატჩი სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა გამართეს ადგილობრივ „ვოევოდინასთან". მე-20 წუთზე მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. შესვენების შემდეგ ვ. პონედელნიკმა ზედიზედ 2 ბურთი გაიტანა „ვოევოდინას" კარში, მაგრამ თამაშის მიწურულს იუგოსლაველებმა გაქვითეს ანგარიში — 2:2.

● კ ი რ ი უ ნ ი, 4 აპრილი. ფინეთის ამ პატარა ქალაქში გაიმართა ბოლო სათხილამურო შეჯიბრება, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. ქალთა ორივე რბოლაში (5 და 10 კილომეტრზე) გაიმარჯვა მოსკოველმა რ. აჩკინამ — 19.30,0 და 41.37,0. 10 კილომეტრზე რბენაში III იყო ოლიმპიური ჩემპიონი, სვერდლოვსკელი კ. ბოიარსკიხი, რომელიც გამარჯვებულს 20 წამით ჩამორჩა.

● **პარიზი**, 4 აპრილი. საფრანგეთის მძლეოსანთა რეკორდების ცხრილში ერთ-ერთი უძველესი იყო სიმაღლეზე მხტომელ ვაქთა შედეგი. და აი, დღეს იგი მოხსნა ფ. მადიუბომ — 216 სმ.

● **ლონდონი**, 4 აპრილი. აქ გაიმართა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ იუგოსლავიის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენები. ვაჟებში ყველას აჯობა იუგოსლაველმა მ. ცერარმა — 57,8, ხოლო ქალებში — ჩეხოსლოვაკიელმა ვ. ჩასლავსკამ — 38,7. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს იუგოსლაველმა ვაჟებმა და უნგრელმა ქალებმა.

● ს ა ნ-ფ რ ა ნ ც ი ს კ ო, 4 აპრილი. ამერიკელ მძლეოსანთა ასპარეზობაში შესანიშნავად გამოვიდა მსოფლიოს რეკორდსმენი რ. მეტსონი. მან ბირთვი ჰკრა 19,92 მეტრზე, რაც სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. ჯ. ჰარტსენმა დაძლია 213 სმ სიმაღლე.

● დ უ შ ა ნ ბ ე, 4 აპრილი. რსფსრ-ს, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების 79 სპორტსმენი მონაწილეობდა მარათონულ რბენაში დუშანბესა და ორჯონიკიძეგრადს შორის. დიდი სიცხის მიუხედავად, საკმაოდ მაღალი შედეგით (1:36.16,6) გაიმარჯვა ცნობილმა მძლეოსანმა ფ. ხუზინმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# „მოხუცი" მზიური საქართველოდან

საქართველოს სსრ კინო-ფოტო-ფონოდოკუმენტების სახელმწიფო არქივში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების ამსახველი ბევრი საინტერესო მასალაა დაცული. ფოტოარქივში მუშაობისას წავაწყდით პოზიტივს, რომელსაც ასეთი ანოტაცია აქვს: „საბჭოთა კავშირის ჩემპიონი უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშეთა შორის, ხრამჰესის ინჟინერ-მექანიკოსი, 38 წლის ივ. მაჭავარიანი".

... 1936 წლის დეკემბერს მოსკოვში ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატი ტარდებოდა. დებულების თანახმად, შეჯიბრებაში ორ ასაკობრივ ჯგუფს უნდა მიეღო მონაწილეობა. საქართველოს გუნდის მწვრთნელს, ქართული ტანვარჯიშის მამამთავარს გ. ეგნატაშვილს ახალგაზრდული გუნდის შემადგენლობა დიდი ხანია დაზუსტებული ჰქონდა, უფროსი ასაკის ტანმოვარჯიშეთა შერჩევა კი გაუჭირდა. ბოლოს არჩევანი ძველი გვარდიის წარმომადგენლებზე: დ. ჩიკვაიძეზე, დ. მიქაბერიძეზე, დ. გელაძესა და ი. მაჭავარიანზე შეაჩერა.

ივანე მაჭავარიანი კარგ ტანმოვარჯიშედ ითვლებოდა. 1921 წელს გამართულ საქართველოს უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების წინ სპორტულმა მიმომხილველმა იგი დაახასიათა, როგორც „მეტად ლამაზად და სხარტად მოვარჯიშე ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ დიდ შეჯიბრებაში, მაგრამ რომ მიეღო, ესეც არავის ჩამორჩებოდა". მიმომხილველს გაუმართლა პროგნოზმა: ტიტანთა ამ შეჯიბრებაში, სადაც „არა ერთხელ პირველი ჯილდოს მიმღები გ. ნიკოლაძე, მეტად ლამაზად მოვარჯიშე ა. ბაქრაძე, გ. მერკვილაძე და სხვები" მონაწილეობდნენ, იმ დროს „სტუდენტმა მათემატიკოსმა, გ. ეგნატაშვილის თავსატეხი ნაერთებით განთქმულმა მოწაფემ" მეორე ადგილი დაიკავა (ყველას აჯობა მრავალი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილემ და გამარჯვებულმა გ. ბერელაშვილმა).

მიუხედავად ამისა, ი. მაჭავარიანს საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში არ ენდობოდნენ, ვინაიდან რთული ვარჯიშების შესრულება უყვარდა და ყოველთვის არ უმართლებდა.

1936 წელსაც გ. ეგნატაშვილმა გუნდში იმ პირობით შეიყვანა, თუ შეჯიბრებაში თავსატეხ ნაერთებს არ გამოიყენებდა, მაგრამ ჩემპიონატის ბოლო დღეს, როცა საერთო 1 ადგილის ბედი „მოხუცებზე" იყო დამოკიდებული, ვეტერანს სულმა წასძლია, თავსატეხი ნაერთი გააკეთა; იარაღიდან ჩამოვარდა და გუნდს „0" ქულა მისცა. ამით მან ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა რუსეთის წარმომადგენელს ასტაფიევს დაუთმო.

მაგრამ ი. მაჭავარიანმა თავს დასძლია, მაშინდელი დებულებით ისარგებლა და, მიუხედავად დიდი ხულიერი და ფიზიკური ტრავმისა, მოულოდნელად ითხოვა იარაღთან მეორედ მისვლის ნებართვა. ვეტერანმა მთელი თავისი ენერგია, ძალა და ნებისყოფა გამოავლინა. მსუბუქად შეხტა რგოლებზე, დახვეწილად, ლამაზად შეასრულა ურთულესი ელემენტები და ისარივით დაესო იატაკს. ხალხით გაჭედილ დარბაზს ერთსულოვანი, მქუხარე ტაში მოსწყდა. მსაჯებმა შეფასების უმაღლესი ციფრი — „20" აღმართეს. მეგობრებმა ხელში აიტაცეს გამარჯვებული.

ეს იყო ყველაზე დიდი და სასიხარულო გამარჯვება, ეს იყო მისი „გედის სიმღერა" სპორტში. საკავშირო სპორტული გაზეთი „კრასნი სპორტი" წერდა: „მზიური საქართველოდან, ქვეყნიდან, რომელმაც მრავალი შესანიშნავი ტანმოვარჯიშე მოგვცა, მოვიდა 38 წლის „მოხუცი" ივანე მაჭავარიანი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა..."

ბ. ჩიკვაიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
**რედაქციის მისამართი:** თბილისი-ბ, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05905